

ანიტა

წყაროები ანიტას მეფობის შესახებ

- ქიულთეფეს (ხეთური ხანის ქანესი/ნესა) მონაპოვრიდან ცნობილი „საკანონმდებლო ფორმულების“ ფირფიტები:
 - i-qa-tí Pi-it-ḫa-na ru-ba-im A-ni-ta ra-bi si-mí-il-tí* „ფითხანას, მეფისა (და) ანიტას, კიბის უფროსის ხელით“ (TCL 21.214 A 19-22);
 - i-qá-tí A-ni-ta rabīm^{im} Pi-ru-wa rabī s[í-mí-il-tí]* „ანიტას, მეფისა (და) ფირუვას, კიბის უფროსის ხელით“ (OIP 27.49 A 24-25, B 26-28);
 - i-qá-ti A-ni-ta ru-ba-e* „ანიტას, მეფის ხელით“ (OIP 27.1, x+1’);
- 1954 წელს ქიულთეფეში ნაპოვნი ე. წ. „ხანჯალი“, წარწერით: É.GAL *A-ni-ta ru-ba-im* „ანიტას, მეფის, სასახლე“.
- 1132/u ფრაგმენტიდან ცნობილი GÉME ¹Anitta „ანიტას მოახლე ქალი“;
- ე. წ. „ანიტას ტექსტი“ : (CTH 1): **a.** KBo 3.22 (OS) = BoTU 7; **b.** KUB 26.71 i 1-19 = BoTU 30 = KBo 3.22 51ff; **g.** KUB 36.98 (+) KUB 36.98a (+) KUB 36.98b წინა მხარე-უკანა მხარე. 6' = KBo 3.22 8-24, 30-42, 53-67, 73-79; **d.** KBo 22.5

“ანიტას ტექსტი”-ს აღმოჩენით ჯერ კიდევ XX ს. დასაწყისში გახდა ცნობილი მეფე ანიტას არსებობის შესახებ. გაირკვა, რომ იგი იყო ცენტრალურ ანატოლიაში მდებარე ერთ-ერთი სამეფოს - ქუსარას მმართველი და უნდა ემეფა ძვ. წ. XVIII ს. საუკუნის შუა წლებში. ივარაუდება, რომ ქუსარა მდებარეობდა დღევანდელი ყიზილ-ირმაკის (ბერძნ. ჰალისი, ხეთ. მარასანთია) სამხრეთ-აღმოსავლეთით, ანტი-ტავროსის მთიანეთში, ასურეთიდან მომავალ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე.

ანიტას ტექსტი

წინა მხარე (1-4) “ანიტა, ფითხანას ძე, მეფე ქ. ქუსარისა x (x x), იგი ცის ღვთაება ტაროსის მოწყალე იყო. და ოდეს იგი ღვთაება ტაროსის მოწყალე იყო, ქ. ნესას მეფემ ქ. ქუსარას მეფეს შე[უტია].

(5-9) ქ. ქუსარის მეფე ქალაქიდან მთელი ძალით (ლაშქრით) ქვემოთ [დაეშვა] და ღამით ქ. ნესა იერიშით აიღო. ქ. ნესას მეფე შეიპყრო, ხოლო ქ. ნესას ძეთაგან ზიანი არავისთვის მიუყენებია [და ისინი თავის] დედებად და მამებად ქმნა

(10-12) [ხოლო ფითხანას, მამაჩემის შემდეგ, იმავე წელს ამბოხება დავამხე: მზის ქალღვთაების (შემწეობით), ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეყნები, რომლებიც აღდგნენ, სწორედ ისინი [ყველა დავამ]ხე:

(13-16) [ქ. ...]მა, ქ. ულამა, [...] (და) შემდგომ კი მეფე ქ. [ხათისა მოვიდა და იგი... ქ. ...]თემსაში გავანადგურე. [...] ქ. ნესა... [...]

(17-19) [...] ქ. ...]ნა შუადღისას [ავიღე. ქ...]მა ღამით [იერიშით ავიღე. ქ. ხარქიუნა] შუადღისას [ავიღე].

(20-26) [ისინი] ცის ღვთაება ტაროსს შეეწირე და ისინი ცის ღვთაება ტაროსს კვლავ და[ვუდგინე(თ)?]. ვინც ჩემს შემდგომ მეფე გახდება და [ქ. ...ნას, ქ. ...]მას და ქ. ხარქიუნას-ქ. ნესას (ამ) მტრებს კვლავ ვინც დაასახლებს, იგი ქ. ნესას მტერი იყოს და იგი ყველა ქვეყნის [მტერი იყოს]. და ვითარცა ლომი ქვეყანას...].

(27-29) [...]ხოლო ვინც ...[...] დაასახლებს, ამინდის ღვთაება მას [...].

(30-32) [ფითხანას, მამაჩემის შემდგომ [...] (წელს) ცალ]ფუვას ზღვა... [ცალფუ]ვას ზღვა...

(33-35) ეს სიტყვები [ფირფიტისა] ჩემი ალყაფის კარზე [მოვათავსე]. აწ და მარა[დის: (ისინი) არა]ვინ არ გაანადგუროს! უკეთუ ვინმე მათ გაანადგურებს, დაე, იგი მისი მტერი გა[ხდეს!]

(36-37) **ფიუსთი**, მე[ფე] ქ. **ხათისა** შემდეგ მეორედ მო[ვიდა... (თვითონ **ფიუსთი**)] და დამხმარენი მისი, რომლებიც მან მოიყვანა, ისინი ქ. **სალამფაში** დავამარცხე.

(38-48) ყველა ქვეყანა ქ. **ცალფუვადან** ზღვისკენ დ[ავამარცხე], ადრე უხნამ, ქ. **ცალფუვას** მეფემ, ღვთაება **სიუსუმი** ქ. **ნესადან** ქ. **ცალფუვას** წაიღო. შემდგომ კი მე, **ანიტამ**, დიდმა მეფემ, **სიუსუმი** ქ. **ცალფუვადან** უკან, ქ. **ნესას** მო[ვიტანე]. **ხუცია** კი, ქ. **ცალფუ[ვას]** მეფე, ცოცხლად ქ. **ნესას** ჩამოვიყვანე. ქ. **ხათუსა** უკანა მხარე შიმშილმა მოიცვა და იგი მე (ალყაშემორტყმული დავტოვე). მაგრამ როდესაც შემდგომ შიმშილისაგან დაუძლორდა, იგი ღვთაება **სიუსუმი** ღვთაება **ხალმასუითს** გადასცა. იგი მე ღამით იერიშით ავიღე, მის ადგილას კი ჭინჭარი დავთე[სე].

(49-51) ვინც ჩემს შემდგომ მეფე გახდება და ქ. **ხათუსას** კვლავ დაასახლებს, იგი ცის ღვთაება ტაროსმა განგმი[როს!]

(52-54) ქ. **სალათივარასკენ** სახე მივაბ[რუნე] ... და ქ. **სალათივარას** წინააღმდეგ საო[მარი ეტლები?] და რაზმები შეიკრიბა და ისინი ქ. **ნეს[ას]** მოვიყვანე[?].

(55-56) ქ. **ნესაში** სიმაგრენი (?) ავაგე. ქალაქთან (?) ცის ღვთაება ტაროსის ტამარი და ღვთაება სიუ[სუმის] ტამარი [ავაგე].

(57-58) ღვთაება **ხალმასუითის** ტამარი, ამინდის ღვთაების, [ჩემი უფლის, და ღვთაება სიუნასუმის ტამარი ავაგე]. ლაშქრობიდან რაც ავლადიდება ჩა[მოვიტანე, იქვე მოვათავსე].

(59-63) ხოლო მე ფიცი და [წყევლა წავმოვთქვი ... იმავე დღეს [2 ლომი, 70 ლერწმის ბარდების (?) ღორი, 1 ტახტი], 120 ნადირი-იყო ეს [ლეოპარდი, ლომები, ირმები], მთის თხა თუ [...] ქ. **ნესაში**, [ჩემს ქალაქში, ჩამოვიყვანე].

(64-67) [შემდგომ] წელს კი ქ. **სალათივარაში** საბრძოლველად გავემურე. ქ. **სალათივარას** კაცი, [მის ვაჟიშვილებთან ერთად, აღუდგა და ჩემს წინააღმდეგ] გამოემართა. [მან ქვეყანა და ქალაქი მისი დატოვა] და მდინარე **ხ[ულანა]** დაიკავა.

(68-72) ქ. **ნესას** [ლაშქარმა შემდეგ შეუტია] და მისი დასახლებული პუნქტები [გადაწვა, ხოლო ისინი ...] და ქალაქში [... 1400 მეომარი, ცხენები, ვერცხლის ...] და 40 ალკაზ[მულობა (საბრძოლო ეტლების ... დატოვა)]. იგი [ადგა და (უკან) გაბრუნდა].

(73-79) როდესაც ქ. **ფურუსხანდაში** საბრძოლველად გავემურე, ქ. **ფურუსხანდას** კაცი [ჩემთან მორჩილად გამოცხადდა] და მე [რკინის ტახტი (და) 1 რკინის კვერთხი [მორჩილების (ნიშნად) მომართვა]. როცა მე შემდგომ უკან, ქ. **ნესას** დავბრუნდი, ქ. **ფურუსხანდას** კაციც ჩემთან ერთად [მოვიყვანე], ხოლო როდესაც იგი განსასვენებელში (B: “**ცალფაში** წავა”) წავა, სწორედ იგი ჩემს მარჯვნივ დაჯდეს.“